GHSA meeting in Tbilisi

Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>

Wed 1/31/2018 1:53 PM

To:David Sergeenko <dsergeenko@moh.gov.ge>;

Cc:Sopo Belkania <sbelkania@moh.gov.ge>; Paata Imnadze <pimnadze@ncdc.ge>; Ana Kasradze Gmail <anakasradze@gmail.com>;

ბატონო დავით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველო, 2014 წლიდან, აქტიურად უჭერს მხარს ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის (GHSA) განხორციელებას, რომელიც ეფუძნება ინფექციური დაავადებებით გამოწვეული რისკების პრევენციას, გამოვლენას და რეაგირების ასპექტებს.

ზემოაღნიშნული მიმართულების წინსვლის უზრუნველყოფის და საქართველოს, როგორც ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნის წარმოჩენის მიზნით, **2018** წლის **26-28** მარტს , აშშ-სა და ნორვეგიასთან ერთად, თბილისში, იგეგმება „რეალურ დროში ეპიდზედამხედველობის“ სამოქმედო პაკეტის ფარგლებში შეხვედრის ჩატარებას , რომელზეც მოწვეული იქნება ჯანმო-ს, OIE-ს, FAO-ს წარმომადგენლები, აგრეთვე აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ექსპერტები, ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის მხარდამჭერი ქვეყნები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ჯამში მოსალოდნელია სხვადასხვა ქვეყნის 40-50 წარმომადგენლის მონაწილეობა.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის გლობალური უსაფრთხოების ინიციატივის (GHSA) განმახორციელებელ და რეალურ დროში ეპიდზედამხედველობის პაკეტის მხარდამჭერ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება და ექნება ტექნიკური ხასიათი.

DTRA მზად არის დაფაროს რეალურ დროში ზედამხედველობის სამოქმედო პაკეტის მხადამჭერი ქვეყნების (13 ქვეყანა) წარმომადგენლების მონაწილეობის ხარჯები. ასევე, მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა CDC-თან შეხვედრის შინაარსთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ური თქვა ფინანსურ მხადაჭერაზე, შესაბამისად ვეცდებით საორგანიზაციო ხარჯები დავფაროთ შიდა სახსრებით და შეხვედრა ჩატარდეს ცენტრის ახალ შენობაში იმ შემთხვევაში თუ მოესწრება მისი სრულად გამართვა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, თქვენი ნებართვის შემთხვევაში, შეხვედრისთვის მომზადებულ მასალებზე განთავსდეს სამინისტროს და ცენტრის ლოგოები.

შეხვედრის მულტისექტორული და ერთიან ჯანმრთელობაზე ორიენტირებული მიდგომიდან გამომდინარე, შეხვედრის თანაორგანიზება ასევე შევთავაზეთ საქართველოს სოფლის მეორნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სამსახურს.
მოგვიანებით სასურველი იქნება გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის საქმის კურსში ჩაყენება.

პატივისცემით,

ამირანი